ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები 2022 | No. 3, 1-12

ISSN2667-9825(online)

ობიექტურ-სუბიექტური გარემო ფაქტორების როლი ადამიანის ქცევაში[1]

ნინო ქიტოშვილი

სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

The role of objective-subjective environmental factors in human behavior

Nino Kitoshvili

PhD student, Applied Social Psychology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

[1] „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

ISSN2667-9825(online)

აბსტრაქტი

სოციალიზაციის პროცესში ადამიანი ითვისებს იმ საზოგადოებისთვის მისაღები ქცევის წესებს, რომელშიც ყალიბდება მისი პიროვნება. გარემოს ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანის ქცევაზე გავლენისუნარიან ობიექტურ და სუბიექტურ გარემო ფაქტორებს და ინტერესდება იმ ფსიქო-სოციალური საწყისებით, რომლებიც ადამიანის ქცევას ედება საფუძვლად. არსებული ობიექტური და სუბიექტური გარემოს კომბინაცია აფორმირებს ადამიანის გენდერულ იდენტობას, შეაქვს წვლილი დევიაციური ქცევის განხორციელების ალბათობაში და მნიშვნელოვნად განაპირობებს მის ბიო-ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას. ადამიანის ქცევაში ობიექტური და სუბიექტური გარემოს წვლილის შესწავლა გვეხმარება შესაცვლელი ქცევის იდენტიფიცირებასა და, გარემოს ცვლილების შედეგად, სასურველი ქცევის ფორმირებაში. სამაგიდო კვლევის ფარგლებში გვსურდა ბავშვის კეთილდღეობის, გენდერული და დანაშაულებრივი ქცევა/მდგომარეობის შესაბამისი სუბიექტურ-ობიექტური გარემოს იდენტიფიცირება. განვიხილეთ რელევანტური მეცნიერული ლიტერატურა და ადამიანის ქცევაში ობიექტურ-სუბიექტური გარემო ფაქტორების გამოკვეთილი მრავალფეროვნების გათვალისწინებით დავგეგმეთ სამომავლო, მეტად სიღრმისეული კვლევები, კონკრეტული მიმართულებების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: *გარემო, გენდერული ქცევა, დანაშაული, ბავშვთა კეთილდღეობა.*

Abstract

In the process of socialization, a person assimilates the rules of behavior acceptable to the society in which his personality is formed. Environmental psychology studies the objective and subjective environmental factors that influence human behavior and is interested in the psycho-social principles that underlie human behavior. The combination of the existing objective and subjective environment shapes a person's gender identity, increases the likelihood of deviant behavior, and plays significantly role in his or her bio-psycho-social well-being. The study of the contribution of objective and subjective environments in human behavior helps us to identify changeable behaviors and to form it, as a result of environmental change. In the desk research we wanted to identify the subjective-objective environment relevant to the child's well-being, gender and criminal behavior / condition. We have reviewed the relevant scientific literature and, in view of the pronounced diversity of objective-subjective environmental factors in human behavior, have planned future more in-depth studies, according to specific directions.

Keywords: *environment, gender behavior, crime, child welfare.*

ISSN2667-9825(online)

შესავალი

ყველა ჩვენგანს აქვს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ იცვლება პიროვნული სივრცე ასაკის მატებასთან ერთად, რომელი ადამიანები არიან გარემოს ცვლილებასთან ერთად მზაობის ცვლილებებისაკენ მიდრეკილნი, როგორ იცვლება სოციალური ინტერაქციები, როგორ აზიანებს ხმაური სმენას და რა კავშირშია ძალადობის მაჩვენებლის ზრდა ტემპერატურის ცვლილებასთან. ვიცით, რომ პრიორიტეტები, დამოკიდებულებები, სივრცითი აღქმები და საპასუხო ემოციური გამოხატულებები აყალიბებს გარემოს, ისევე, როგორც გარემო ახდენს ჩვენი ქცევის ფორმირებას (Gifford, 2002).

სოციალიზაცია, რომლის პროცესშიც ადამიანი ითვისებს მისთვის ხელსაყრელ სამოქმედო სქემებს, სხვადასხვანაირად არის გაგებული და, მიუხედავად იმისა, თუ რას გულისხმობს ის, ყველა შემთხვევაში მოიაზრებს გარემოს მნიშვნელოვნობას. შედეგად, გენდერული როლი, ბავშვის კეთილდღეობა და ქმედებების განსხვავებული პატერნები კულტურული ფაქტორებით არის განპირობებული (Witbeck, 2009; Zelezny, Chua, Aldrich, 2000; Harris, 1995) და წარმოადგენს ბავშვის განვითარების უმნიშვნელოვანეს წყაროს. სწორედ ობიექტური და სუბიექტური გარემოს რაობა, ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოება და უწყვეტობა განაპირობებს ამ პროცესის სიჯანსაღეს (Cichoz, 2015), საზოგადოების წევრის სრულფასოვნებას და ამით კი საზოგადოების განსავითარებლად გადადგმულ მორიგ ნაბიჯს (Gifford 2002; Chawla et al. 2015; The Urban Child Institute 2012; Vandewater and Lansford 1998). ბოლოს, დანაშაულიც, რომელიც ყველა საზოგადოების განუყრელი ნაწილია, რიგ შემთხვევებში დამოკიდებულია გარემო ფაქტორებზე (Gifford, 2002; შალიკაშვილი, 2012; Steden et al., 2012; Singh, 2015; Weijer et al., 2014). მიუხედავად იმისა, რომ კრიმინალურობის დეტერმინანტებსა და ქცევას შორის ცალსახა მიზეზობრივი კავშირი კვლევებით არ დასტურდება, დანაშაულის აღმოფხვრა კი ძალიან რთული საკითხია, ცხადი გახდა, რომ გარემო ცვლილებები მის პროცენტულობას ამცირებს და ამით წარმოადგენს სამეცნიერო ინტერესის სფეროს.

ფსიქოლოგიის მეცნიერება, პედაგოგიკისა და სხვა სოციალური მეცნიერებების მსგავსად, სოციალურ და კულუტურულ კონტექსტს რომელშიც ადამიანი ყალიბდება და ვითარდება, მოიაზრებს გარემოდ, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ჩამოყალიბებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე (Cichoz, 2015). შესაბამისად, გარემოს კვლევა ფსიქოლოგიის, ერთ-ერთ მთავარ ინტერესს წარმოადგენს და კვლევის პროცესი ფოკუსირდება იმაზე: შეუძლია, თუ – არა გარემოს შეცვალოს ადამიანის ქცევა და გააუმჯობესებს, თუ – არა ეს ცვლილება პიროვნების ყოველდღიურობას? (Gifford, 2002).

ნაშრომში ვკონცენტრირდით ობიექტური გარემოსა და მისი სუბიექტური აღქმის გავლენაზე ადამიანის ქცევის ცალკეულ სფეროებზე. კერძოდ,

ISSN2667-9825(online)

დავინტერესდით, რა გარემო ახდენს გავლენას ადამიანის სქესობრივ იდენტიფიცირებაზე? რა კავშირია გარემოსა და ბავშვის კეთილდღეობას შორის? და ასევე, გარემოსა და დანაშაულებს შორის?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სამაგიდო კვლევის ფარგლებში ინტერესის რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურიდან დაიგეგმა სამი თეორიული მიმართულების განხილვა:

1. ქალისა და გარემოს თემაზე არსებული სოციალიზაციის თეორიები, გენდერული როლების კვლევები და სტატიები;
2. გარემო და ბავშვის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის საკითხის განხილვისას რამდენიმე საერთაშორისო კვლევითი მიმოხილვა, თეორიები, კვლევები და სტატიები;
3. დანაშაულსა და გარემოსთან დაკავშირებული რამდენიმე წიგნი, თეორია, კვლევა, სტატისტიკური ანგარიში და ინტერნეტ რესურსები.

გარემოს ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი

გარემოს ფსიქოლოგია, სოციალური მეცნიერების დეფინიციით, წარმოადგენს მატერიალური და პიროვნული ფაქტორების მთლიანობას, რომლებიც ახდენენ ქცევის ფორმირებას, ავითარებენ ადამიანის საწყისს და განსაზღვრავენ სოციალურ კონტექსტს. იმის გასაგებად თუ როგორია ადამიანსა და გარემოს შორის კავშირი, დინამიკური თუ სტატიკური, საჭიროა, ვიცოდეთ, რომ ეს კავშირი გულისხმობს: გავლენისუნარიან გარემოსთან სივრცით სიახლოვეს და ცალმხრივობას, სოციალური წრის სტაბილურობასა და გავლენას, რასაც ხასიათისა და ქცევის ფორმირებისას გარემო ახორციელებს ადამიანზე (Cichoz, 2015).

კურტ ლევინი (Lewin, 1946) იყო პირველი, ვინც შეიმუშავა სოციალური ცვლილების ახლებური იდეა და გამოყო გარკვეული საფეხურები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მსგავსი გავლენის განხორციელება. ამ საფეხურების მიხედვით უნდა განვახორციელოთ შესაცვლელი ქცევის იდენტიფიცირება; დავაკვირდეთ/აღვწეროთ სამიზნე ქცევა; ჩავერიოთ და შევაფასოთ ინტერვენცია. მხოლოდ იმის ცოდნა თუ რა ახდენს ადამიანის ქცევაზე ამა თუ იმ გავლენას, არ არის საკმარისი, ეს ცოდნა უნდა იყოს გამოყენებითი და მოგვცეს საშუალება, დავგეგმოთ ქვემოთ ნახსენები ინტერვენციები (Gifford, 2002). ქიჩოზის მიხედვით (Cichoz, 2015), მიუხედავად გარემოს მრავალფეროვანი კლასიფიკაციისა, სოციალური მეცნიერებები, ძირითადად, გარემოს სამ ტიპს გამოყოფენ: სოციალურს, ბუნებრივსა და კულტურულს. რის მაგალითადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ ბუნებრივი ინსტიტუციები (ოჯახი, თანატოლები), არაპირდაპირი ინსტიტუციები (სამუშაო ადგილი, მაღაზიები, მედია, წიგნი, კინო) და პირდაპირი ინსტიტუციები

ISSN2667-9825(online)

(სკოლა, კლუბები, სხვადასხვა ცენტრი, კურსი, გადასაადგილებელი სივრცე) (Cichoz, 2015).

გარემოს ფსიქოლოგები ჩარევას შეიძლება ახორციელებდნენ ოთახზე, შენობაზე, ქუჩაზე, სამეზობლოზე, ქალაქზე და სხვ. შენობებს შეიძლება ფერი შეეცვალოს, კედლები შეიღებოს; ქუჩების დაგეგმარება რუკაზე გარდაიქმნას, გაუქმდეს უსარგებლო აღნიშვნები მასზე და გახდეს მეტად უფრო გასაგები; მაგალითად, ქალაქის დონეზე აღმოჩნდა, რომ მკვეთი ქუჩების არსებობა ქალაქში ზრდის ქვეითთა ოდენობას და, შესაბამისად, საცობებს. ასევე, ე.წ. მწოლიარე პოლიციელების დამონტაჟება ხალხმრავლ და დასახლებულ პუნქტში ამცირებს მოძრავი მანქანების სიჩქარეს, ავტო საგზაო შემთხვევების რაოდენობასა და, შესაბამისად, ზრდის მაცხოვრებლების სიმშვიდეს. ხოლო რეკრეაციული ზონების სიმრავლე კი ახალგაზრდებს სთავაზობს სახლში კომპიუტერთან და/ან მიყუჩებულ ადგილას დროის გატარების სოციალურ ალტერნატივას (Gifford, 2002).

მაშასადამე, გარემო, რომელშიც ვარსებობთ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე, განწყობაზე, კეთილდღეობაზე და, ვინაიდან, ექვემდებარება ცვლილებას, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე, წარმოადგენს სოციალური მეცნიერების კვლევის ინტერესს.

გარემო და ქალი

მთელ მსოფლიოში საზოგადოებას სხვადასხვა სქესისგან განსხვავებული მოლოდინები აქვს. ქალებისგან, მამაკაცებთან შედარებით, განსხვავებულ ქცევებს, პასუხისმგებლობებსა და დამოკიდებულებებს ელიან. ეს განსხვავებები ყალიბდებოდა ისტორიულ ჭრილში, თუმცა, ფაქტია, რომ სქესობრივი განსხვავებები უნივერსალურია მთელი მსოფლიოსთვის. გიფორდის თანახმად (Gifford, 2002), კვლევის ინტერესს წარმოადგენს ის, თუ რამდენად განსხვავდება საზოგადოებაში საჭიროებები სქესის მიხედვით და რა გავლენას ახდენს ეს განსხვავება გარემოს დაგეგმარებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, ვნახოთ, რა როლს თამაშობს ქალი რეალურ გარემოში და რა როლის თამაში შეუძლია გარემოს დაგეგმარებაში. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გენდერული როლების სწავლება, მათი განხილვა და/ან სხვადასხვა ინტერვენციის გეგმების დასახვა გარემო ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, არ იქნება სანდო, რამეთუ სწორედ გარემო ფაქტორები ახდენენ გვლენას გენდერულ როლებსა და მათ აღქმაზე ამა თუ იმ სქესის მხრიდან. მკვლევრების თანახმად (Burnett, Anderson, Heppner, 1995), ამის ნათელი მაგალითია კულტურათაშორისი სხვაობა გენდერულ როლებს შორის და ამ სხვაობათა აღქმის სიმძაფრე (რომელიც წარმოდგენილია ფემინისტურ მოძრაობებში).

ISSN2667-9825(online)

თანამედროვე საზოგადოების ინტერესის საგანს წარმოადგენს ის, თუ რატომ არის ქალი, მამაკაცთან შედარებით, მეტად დამოკიდებული გარემოზე? ამ კითხვაზე პასუხი სოციალიზაციის პროცესსა და გენდერულ როლებს შორის კავშირშია. სოციოლოგები სოციალიზაციას ხსნიან როგორც სოციალური როლების, ღირებულებებისა და განწყობების ათვისება/ჩამოყალიბების პროცესს (Witbeck, 2009). სოციალური ფსიქოლოგების, ზელეზნის და მისი კოლეგების მოსაზრებით (Zelezny, Chua, Aldric, 2000), ადამიანის ქცევა სოციალიზაციის პროცესის შედეგია, როცა ადამიანის ფორმირება კულტურული ნორმებით განსაზღვრული გენდერული როლითაა განპირობებული. რიგ კულტურებში (Zelezny, Chua, Aldric, 2000) ქალები, მამაკაცებთან შედარებით, გამოირჩევიან მეტი ექსპრესიულობით, „ეთიკური ზრუნვის“ მეტი მოტივაციით, მეტად სხვაზე და ერთმანეთზე დამოკიდებულობით, თანამშრომლობითა და დახმარების უნარიანობით. რადგან ქალები, მამაკაცებთან შედარებით, იზრდებიან „სხვათა“ საჭიროებაზე ზრუნვითა და სხვათა დამხმარე ქცევების განხორციელებით, უდავოა, გარემოსდაცვითი / გარემოზე ზრუნვითი პოზიციის კავშირი სოციალიზაციასა და, შედეგად, შესაბამის ცხოვრებისეულ ფასეულობებთან.

გენდერული როლებისა და თვითშეფასების კვლევაში ბურნეტი და მისი კოლეგები (Burnett, Anderson, Heppner 1995) ფოკუსირდნენ მასკულინობისა და ფემინურობის სოციალური გარემოს გავლენაზე. სადაც სოციალური გარემო (სოციალური პრესი) გულისხმობდა ინდივიდების აზროვნებაზე, გრძნობასა და ქცევაზე გარემოს ზეგავლენას. მიღწევადობა, მოტივაცია და ასერტულობა, რომელიც ასე პრიორიტეტულია საზოგადოებაში, აღმოჩნდა კავშირში მასკულინურობასთან და ნაკლებად მისაღები – ფემინური ინდივიდებისთვის. ფემინურობა კავშირში იყო განცდების არსებობასთან, მგრძნობიარობასთან, ექსპრესიულობასა და ურთიერთობით კმაყოფილებასთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ ქალების, რომლებსაც ჰქონდათ თვითდამკვიდრების მოტივაცია, თვითშეფასებას განაპირობებდა ამ მასკულინური მახასიათებლების ქონა/უქონლობა. შესაბამისად, მოტივირებულ, თვითდამკვიდრებულ ქალებს, რომლებიც იყვნენ მასკულინურები, მაღალი თვითშეფასება ჰქონდათ (Burnett, Anderson, Heppner, 1995).

ასევე, ზელეზნიმ და მისმა კოლეგებმა (Zelezny, Chua, Aldrich, 2000) ათობით რელევანტური კვლევის მეტაანალიზის შედეგად დაასკვნეს, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, მეტად არიან მიდრეკილნი გარემოსდაცვითი (გარემოზე მზრუნველი) ქცევებისაკენ. განმტკიცდა მოსაზრება, რომ გოგონები, ბიჭებთან შედარებით, პროგარემოსდაცვით მეტ ქცევას ახორციელებენ, სკოლის ცხოვრებით მეტად ინტერესდებიან და გარემოს ხელისშემწყობ მეტ აქტივობას ახორციელებენ (Zelezny, Chua, Aldrich, 2000).

ISSN2667-9825(online)

ამის საპირისპიროდ, გიფორდის კვლევამ (Gifford, 2002) აჩვენა, რომ მაგ., ამერიკაში გოგონების ჩართულობა, იმავე ასაკის ბიჭებთან შედარებით, გარემოს ცვილებებში იყო ნაკლები; გოგონები უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი საშინაო (დიასახლისურ) საქმეებსა და ბავშვის მოვლის აქტივობებში. შესაბამისად, ნაკლები თავისუფალი დრო ჰქონდათ. ხოლო იმ დროს, რომლის გატარებაც დამოუკიდებლად, გარეთ შეეძლოთ, ძირითადად სხვასთან შეთანხმებით ირჩევდნენ. განსხვავებები სქესის მიხედვით, ასევე, დაფიქსირდა ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობაში. მაგ., აღმოჩნდა, რომ ქალები საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის მეტი სიხშირით გამოირჩეოდნენ. ისინი, კაცებისგან განსხვავებით, საცხოვრებელ სახლს მათი პიროვნულობის გამოხატულებად აღიქვამდნენ; მამაკაცებისთვის სამყარო უკავშირდებოდა განსახორციელებელ აქტივობებს, ხოლო ქალებისთვის კი, რიგ ქალთათვის დამახასიათებელ გარემოებებს (Gifford, 2002). ამ ეფექტის იდეა არის სქესობრივ თვითიდენტიფიცირებაში. მას შემდეგ, რაც გოგო/ბიჭი შესაბამისი სქესის მშობელთან მოახდენს იდენტიფიცირებას, მათი ქცევების მოდელირებას, ხდება გენერალიზება და გაყოფა სქესობრივი აქტივობების მიხედვით. ამ შემთხვევაში ხშირია მოზარდი ბიჭის მასკულინობის ზრდა საშინაო („მისთვის შეუფერებელი“) აქტივობებისგან თავისდაღწევის შედეგად (Gifford, 2002).

გენდერული აღქმა მნიშვნელოვან კავშირშია სოციალიზაციის პროცესთან, თუმცა მხოლოდ ეს არ კმარა ამ მიზეზობრივი კავშირის ასახსნელად და საჭიროა მეტად სიღრმისეული კვლევები, როგორებიცაა მაგ., რა აშუალებს სქესს, სოციალიზაციის პროცესსა და გარემოზე პასუხისმგებლობის გაანცდას? როგორ განაპირობებს გენდერული სოციალიზაცია გარემოს აღქმას? როგორია მშობლის როლი შვილის გენდერულ სოციალიზაციასა და გარემოს აღქმის ჩამოყალიბებაში? (Zelezny, Chua, Aldrich, 2000).

გარემო და ბავშვის ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა

ქიჩოზის მიხედვით (Cichoz, 2015), გარემოსა და ადამიანის ურთიერთკავშირის საწყისს წარმოადგენს სოცილიზაციის, აღზრდის პროცესი, რა დროსაც განათლება, გარემოს შესახებ ინფომაცია, დამოკიდებულია ექსტერნალურ ფაქტორებზე, თუ სად და რა კულტურულ კონტექსტში მიმდინარეობს ის. ამ ობიექტური განზომილებების მიღმა საგულისხმოა ამ პროცესის სუბიექტური აღქმა, რაშიც ბევრ დეტალს უკავია მნიშვნელოვანი ადგილი. სწორედ აღზრდის პროცესი გვევლინება ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის განმაპირობებელ გარემოებად, რა დროსაც მისი ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოება და უწყვეტობა თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს. იმ გარემოს შესწავლა კი, რომელშიც ბავშვი იზრდება, გვაძლევს ცოდნას ამ გარემოს ტიპოლოგიაზე და მითითებებს დასაგეგმი ინტერვენციების შესახებ (Cichoz, 2015).

ISSN2667-9825(online)

ბავშვის ზრდა-განვითარების ყველა ფაზაში საჭიროა განვითარების შესაფერისი გარემოს უზრუნველყოფა. მისი სწორი აღზრდის პროცესის ხელშესაწყობად, უნდა ვფლობდეთ მისი განვითარების დონეების (ზოგადად განვითარების ფაზების) შესახებ გარკვეულ ცოდნას. არსებობს დიმიტრი უზნაძის (Uznadze, 1912), ლევ ვიგოტსკის (Vigotsky, 1920), ერიქსონის (Ericson, 1959), პიაჟეს (Piaget, 1936) და სხვების განვითარების კლასიფიკაციები, რომელთა მიხედვითაც ბავშვის განვითარება დამოკიდებულია გარემოზე, ოჯახის წევრების ქცევასა და ბავშვის ქცევისადმი მშობლების დამოკიდებულებებზე (მოდელირება, განმტკიცება, განვითარებაში ხელშეწყობა და ა.შ.).

ლუის ჩავლამ და მისმა კოლეგებმა (Chawla et al., 2015) ნაშრომში „ბავშვი და გარემო“, მიმოიხილეს ოქსფორდის პროფესორთა კვლევები, პუბლიკაციები და წიგნები, რომლებიც 1970-2007 წლებში შესაბამის საკითხს ეხებოდა. ამ მიმოხილვაში სოციალური მეცნიერები სიტყვა „გარემო“-ს მიაწერენ ბავშვთა ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და/ან ეკონომიკურ კონტექსტს, თუმცა ის გულისხმობს ფიზიკურ სივრცესაც. ფიზიკურ სივრცეში იგულისხმება ყველაფერი ის, რისი დანახვა, გაგება, გასინჯვა, ყნოსვა და/ან შეგრძნებაა შესაძლებელი. მე-20 საუკუნიდან ბავშვის კეთილდღეობაზე გარემოს გავლენის შესწავლის ფოკუსმა ეთნოგრაფიულ, გეორგაფიულ და კულტურათაშორის კვლევებს დაუდო საფუძველი. თუ რომელი გარემო (გეოგრაფიული, კულტურული) რა გავლენას ახდენს ბავშვის ფიზიკურ, კოგნიტურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე (Chawla et al., 2015).

დღევანდელი ბავშვების უმეტესობა მსოფლიოში ცხოვრობს დაბალ განვითარებულ (აფრიკა) და/ან განვითარებად ქვეყნებში (ცენტრალური და ლათინური ამერიკა, აზიის დიდი ნაწილი) (Ferguson, Cassels, MacAllister, Evans, 2013). სწორედ ამიტომ ფიზიკური გარემოსა და ბავშვის განვითარების თავისებურებების საკვლევად შედარებულია ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნები პლანეტის სამხრეთ ნაწილთან. გარემოში იგულისხმებოდა ტოქსიდები, პესტიციდები, ჰაერი, წყალი, სოციალური კონტაქტების ოდენობა, ხარისხი, ეკონომიკური და ფსიქო-სოციალური მდგომარეობა. როგორც იყო ნავარაუდევი, ფიზიკურმა გარემომ მნიშვნელოვნად განაპირობა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყანათა ბავშვების განვითარებას შორის განსხვავება. ამ დროს რთულია ინტერვენციაზე ფიქრი ისეთი გლობალური ფაქტორის შეცვლისთვის, როგორიცაა გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი გარემოს მახასიათებლები. იმისთვის კი, რომ გარემოს და, შესაბამისად, ქცევის ცვლილება იყოს ეფექტიანი მსგავსი კულტურათაშორისი კვლევები საჭიროებს კონკრეტიზირებასა და სამიზნე/სამოქმედო ფაქტორის იდენტიფიცირებას (Ferguson et al., 2013). როგორც წესი, გარემოს ფსიქოლოგების ჩარევა ეფექტიანად შეიძლება მოვიაზროთ ისეთი ქცევების შესაცვლელად, რომლებიც არ არის დაკავშირებული გეოგრაფიულ,

ISSN2667-9825(online)

დემოგრაფიულ და სხვა მსგავს უცვლელ გარმეოებებთან. ავიღოთ, მაგალითად, სწავლის პროცესი და ბავშვის განვითარება.

პედაგოგიური მეცნიერებების აზრით, ბავშვი დაბადებულია, რათა ისწავლოს (The Urban Child Institute, 2012).[2] სასკოლო, ფორმალური სწავლებისთვის მზადება იწყება, როდესაც მშობელი მასთან საუბარსა და, თუნდაც, ემოციურად მის ქცევებზე დამოკიდებულების გამოხატვას იწყებს. სწორედ ამიტომ, ოჯახი გვევლინება იმ საწყისად, სადაც ბავშვს უყალიბდება სწავლისადმი დამოკიდებულება, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს მისი აღზრდის პროცესს (UCHI, 2012). მეცნიერები თანხმდებიან, რომ ბავშვის ადრეული საშინაო გარემო ხანგრძლივ გავლენას ახდენს მისი განვითარების პროცესზე. კვლევებმა დაადგინა (UCHI, 2012) კავშირი ადამიანის ცხოვრების პირველ სამ წელსა და ნეგატიურ საშიანო გარემოს შორის, განვითარების პრობლემების თვალსაზრისით. კერძოდ, ეს აისახა: მეტყველების სირთულეებში; ქცევით აშლილობებში (აგრესია, შფოთვა და დეპრესიულობა) და კოგნიტური განვითარების ჩამორჩენაში. ეს ყველაფერი კი, მოგვიანებით, ადრეულ ასაკში დედობა/მამობას, დასაქმებასა და სკოლის გვიან დამთავრებასთან აღმოჩნდა კავშირში.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებულმა ცვლილებებმა გაზარდა არასრული ოჯახების სიმრავლე და კვლავ წარმოების სფეროში უარყოფითი ცვლილებები შეიტანა ბავშვების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაში. გაიზარდა მარტოხელა მშობელთა ოჯახები, რაც სოციალური მეცნიერების კვლევის ყურადღების ცენტრში მოექცა და კვლევით დადასტურდა, რომ გავლენა, რომელსაც ოჯახის სტრუქტურა (ამ შემთხვევაში განქორწინებული ოჯახები) ახდენს ბავშვზე, უარყოფითად აისახება მათ კეთილდღეობაზე. ის აისახება მშობელთა და ბავშვთა ფსიქოლოგიური მდგომაროების გაუარესებაში, ბავშვის ქცევის გარეგან გამოხატულებებში (როგორც ოჯახის წევრების, ისე თანატოლების მიმართ) და, ასევე, მათ კოგნიტურ შესაძლებლობებში (Vandewater & Lansford, 1998). განვითარების პრობლემების რისკფაქტორებად გვევლინება ნეგატიური საშინაო გარემო. თუმცა რას გულისხმობს ეს კონკრეტულად? ამ შემთხვევაში ბავშვთა კეთილდღეობის კვლევითი ინსტიტუტის მიხედვით (UCHI, 2012), რისკფაქტორებად გვევლინება: ოჯახის დაბალი შემოსავალი; დედის დეპრესიულობა; დედის დაბალი განათლება კი დაკავშირებულია შვილის აკადემიურ მოსწრებასთან. ამ ფაქტორთა გავლენა მნიშვნელოვანია ბავშვის ადრეულ წლებში, თუმცა შედეგები შესამჩნევი ხდება გაცილებით მოგვიანებით (The Urban Child Institute, 2012). სწორედ ოჯახის ფუნქციები და მათი შესრულება/შეუსრულებლობა განაპირობებს ოჯახის არსს, რომელიც მისი წევრების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე ისახება. შესაბამისად, რამდენად

[2] The Urban Child Institute (UCHI), 2012.

ISSN2667-9825(online)

კარგად ხდება ამ ფუნქციების განხორციელება, ეს განაპირობებს ოჯახში სოციალურ და ფსიქოლოგიურ გარემოს (Vandewater და Lansford, 1998).

მოსაზრება/დასკვნების საპირისპიროდ, რომ ოჯახი წარმოადგენს სოციალიზაციის უმთავრეს წყაროს, განვითარდა განვითარების ახალი თეორია (Harris, 1995), რომლის მიხედვით, სოციალიზაცია არის ოჯახის მიღმა განვითარებადი მოვლენები, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ თანატოლებს. ჯგუფის შიდა პროცესები გვევლინება კულტურული ფაქტორის ამსახველად ბავშვის პიროვნულ მახასიათებელზე გარემოს დახმარებით. სწორედ გარემოს სხვადასხვაობა გვევლინება ახსნად იმისა, თუ რატომ არ არის მშობლის აღზრდის მსგავსი სტილი სხვადასხვა საზოგადოებაში ერთნაირად გავლენისუნარიანი (Harris, 1995).

გარემო და დანაშაული

განსხვავებულ ფიზიკურ გარემოში განსხვავდება დანაშაულის მაჩვენებლები და გამოითქვა ვარაუდი, რომ დანაშაულის მაღალი მაჩვენებლების მქონე გარემოში, გარემოს ფიზიკურ ცვლილებას მოყვება მაჩვენებლების შემცირება (Gifford, 2002). ამას ადასტურებს სტატისტიკა, რომ ძალადობრივი დანაშაულების კატეგორიას მარავალსართულებიან კორპუსში მცხოვრები მოზარდები უფრო ხშირად ჩადიან, ვიდრე კერძო სახლის მაცხოვრებლები. ეს ფენომენი იხსნება მაღალსართულიანი შენობების პირქუში, უფანტაზიო, ცივი და საშიში ექსტერიერით. შალიკაშვილის კრიმინოლოგიის წიგნში (შალიკაშვილი, 2012) მოყვანილია კვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ძველ შენობებში ჩამომტვრეული კიბეების, მოუწესრიგებლობის და შელახული ინტერიერიდან წამოსული ემოცია, იწვევს მაცხოვრებლების ფრუსტრაციას. ამას თან ემატება ანონიმურობის განცდა (მრავალსართულიან სახლებში), უსაფრთხოების უქონლობა და აგრესიული ქცევის გამოხატვის რისკი (შალიკაშვილი, 2012). ნიუმანის (Newman, 1971) აზრით, ასეთი სახლი ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების განცდას და ზრდის თავდაცვით მზადყოფნასა და დაძაბულობის განცდის აგრესიაში გამოხატვის ალბათობას. ასევე, აღმოჩნდა, რომ დასახლება, რომელშიც სახლები ახლოსაა და/ან აქვს ბევრი ფანჯარა, დაფიქსირებული კრიმინალის მიხედვით, განსხვავდება დასახლებისგან, სადაც ერთმანეთისგან შორს მდგარი სახლებია (Baumeister, Vohs, 2007).

სტიდენს და მის კოლეგებს (Steden et al., 2012) სურდათ, გამოეყოთ კრიმინოგენული ფაქტორები და საზოგადოებისთვის საჭირო შეღავათების შექმნის წინაპირობა მოემზადებინათ. მათი აზრით, ფაქტორთა იდენტიფიკაცია შესაძლებელს გახდიდა დანაშაულის მართვას. მათ 127 ფაქტორიდან არგუმენტირებული გამოხშირვით გამოყვეს კრიმინალურობის 19 დეტერმინანტი, რომელიც 5 კატეგორიად გადანაწილდა. ესენია: პიროვნული ფაქტორები,

ISSN2667-9825(online)

ახალგაზრდა ასაკი, ოჯახური ფაქტორები, ცხოვრების დონე და გარემო სოციალური ფაქტორები.

სტედენის და მისი კოლეგების მიერ (Steden, Boutellier, Scholte, Heijnen, 2012) გაანალიზებული კვლევების უმრავლესობაში ხაზგასმულია, რომ განქორწინებულ ოჯახში მცხოვრებ მოზარდს ნაკლები კონტროლი და დისციპლინის დაცვა აქვს, რაც ზრდის კრიმინალურ ქმედებაში ჩართვის ალბათობას. აქვე აღსანიშნავია, რომ მარტოხელა მშობლების შემთხვევაში, მარტოხელა დედის ოჯახში გაზრდილი ბავშვების კრიმინალური მაჩვენებელი საგრძნობლად ნაკლებია, იმ ბავშვეთან შედარებით, რომლებიც მარტოხელა მამის ოჯახში გაიზარდა, ეს იხსნება დედის მზრუნველობის, კონტროლის, მონიტორინგისა და სითბოს გამომჟღავნების მეტი უნარით. თუმცა აღსანიშნავნია, რომ ოჯახში მშობლის არარსებობა ამცირებს მასთან ემოციურ კავშირს და ამ მშობლის ნორმა/ღირებულებების მნიშვნელოვნობას. კვლევების მიხედვით (Steden et al., 2012; Weijer et al., 2014) შეიძლება ითქვას, რომ მშობელთა განქორწინება კრიმინოგენულ ეფექტს ახდენს შვილებზე, რაც გამოიხატება ტრავმაში, ღირებულებათა ცვლილებაში, შემოსავლის შემცირებაში. ეს გავლენას ახდენს ოჯახის წევრთა ცხოვრების ხარისხზე და, შედეგად, მოზარდი დამნაშავეთა მოწყვლად კატეგორიაში გადაჰყავს.

გარემოსა და დანაშაულის კავშირის დადგენის სირთულემ მეცნიერები შეიყვანა ჩიხში. ვინაიდან დანაშულის აღმოფხვრა მიუღწეველი მიზანია, მისი პრევენცია მხოლოდ შემცირებას გულისხმობს და გამომწვევი მიზეზები კი მრავალფეროვანია და რთულია, დადგინდეს კაუზალური კავშირი გარემოსა და მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებას შორის. თუმცა დანაშაულის პრევენციის ჭრილში გარემოს ცვლილება ძალიან მნიშვნელოვანია. ის გავლენას ახდენს ინტერესებზე, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ფაქტორების ცვლილებებთან ერთად (Gifford, 2002).

დასკვნა

გარემოს ფსიქოლოგიის უმთავრეს კითხვაზე – შეუძლია თუ – არა გარემოს შეცვალოს ადამიანის ქცევა და ეს ცვლილება გააუმჯობესებს თუ – არა პიროვნების ყოველდღიურობას? პასუხის გასაცემად ნაშრომში განხილულია გარემოს ფსიქოლოგიაში არსებული თეორიები და კვლევები, რომლებიც ეხებოდა გარემოს გავლენას ადამიანის ქცევის ცალკეულ სფეროებზე, კერძოდ: გარემოს გენდერული აღქმის, ბავშვთა კეთილდღეობასა და დანაშაულის მაჩვენებლებზე, გავლენის თემატიკაზე, განხილული კვლევების მიხედვით:

გენდერულ აღქმას განაპირობებს სოციალიზაციის პროცესი, რომელიც სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვა გარემოს გავლენის პრიორიტეტულობას უსვამს

ISSN2667-9825(online)

ხაზს (ოჯახი, თანატოლები). თუმცა ამ კავშირის დადგენა არ აღმოჩნდა კავშირის ახსნისათვის საკმარისი.

გარემო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარების პროცესში. გარემოში იგულისხმება: საცხოვრებელი ფიზიკური პირობები, მშობლების განქორწინებულობა, აღზრდის სტილი, საქმიანობის სფერო და სხვა. თუმცა იმაზე, თუ რომელი გარემოა უფრო მნიშვნელოვანი, ოჯახი თუ თანატოლები? – მეცნიერთა აზრი ორად იყოფა.

გარემო, გავლენას ახდენს როგორც გენდერულ სოციალიზაციასა და ბავშვის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე, ისე – დანაშაულის მაჩვენებელზეც. თუმცა ფენომენის კომპლექსურობიდან გამომდინარე, საჭიროა მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინება, რათა დანაშაულის შესამცირებლად დაგეგმილმა ინტერვენციამ გამოიღოს ეფექტი და რესურსი (პიროვნული თუ მატერიალური) არ აღმოჩნდეს ფუჭად დახარჯული.

დამუშავებული ლიტერატურიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- <u>გენდერული აღქმა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული სოციალიზაციის პროცესთან</u> – თუმცა მხოლოდ არსებული კვლევები არ კმარა და საჭიროა სხვა ტიპის სიღრმისეული კვლევები, რომელთა ფოკუსი იქნებოდა იმ გამაშუალებლის კვლევაც, რომელიც სქესობრივ იდენტობას, სოციალიზაციის პროცესსა და გარემოზე პასუხისმგებლობის განცდას აერთიანებს. როგორ განაპირობებს გენდერული სოციალიზაცია გარემოს აღქმას? როგორია მშობლის როლი შვილის გენდერულ სოციალიზაციასა და გარემოს აღქმის ჩამოყალიბებაში?
- <u>გარემო გავლენას ახდენს, ასევე, ბავშვის განვითარებასა და ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე</u> – ბავშვის განვითარებაზე პასუხისმგებელი გარემო სოციალიზაციის პროცესში, გენეტიკური როლის მსგავსად, აღმოჩნდა მნიშვნელოვანი. თუმცა კითხვა, თუ რომელი უფრო მნიშვნელოვანია და მეტად პასუხისმგებელი ამ საკითზე ოჯახური გარემო თუ თანატოლები, მეტად დაწვრილებით და დეტალიზებულ კვლევას საჭიროებს, სადაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სოციო-კულტურული თავისებურებები (Independent/Interdependent Self).
- <u>გარემოს ცვლილება გავლენას ახდენს დანაშაულის მაჩვენებელზე.</u> ნახსენები კავშირი ემპირიულად დგინდება და საზოგადოებრივი პოლიტიკის ამ ნაწილის ეფექტიან გატარებას საზოგადოების უსაფრთხოება/კეთილდღეობა მოჰყვება. დანაშაულებრივი ქმედების გამომწვევი მიზეზების კვლევა წარმოადგენს მეცნიერული მიმართულებების დაინტერესების საგანს და საჭიროებს მეტ კონკრეტიკას, დანაშაულის ტიპის, კატეგორიის, დამნაშავის ასაკის, დანაშაულის გარემოს რაობისა და კულტურული კონტექსტის გათვალისწინების სახით.

ISSN2667-9825(online)

გამოყენებული ლიტერატურა:

შალიკაშვილი მ., 2012, ძალადობის კრიმინოლოგია, მერიდიანი, თბილისი.

Akers R. & Seller Ch., 2013, Criminological Theories: Introduction, Evaluation, Application (6th ed.), New York: Oxford University Press, 29-30.

Baumeister F., Vohs K., 2007, Encyclopedia of Social Psychology, Volume 1, Sage Publications, New York, London, New Delhi, Singapore.

Burnett J., W., Anderson W., P., Heppner P., P., 1995, Gender Roles and Self-Esteem: A Consideration of Environmental Factors, Journal of Counseling & Development, Volume 73, 323-236.

Chawla L., Cushing D., Malinin L., Pevec I., Vliet W., Zuniga K., 2015, Children and The Environment, http://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780199791231/obo-9780199791231-0034.xml , 11/05/2017.

Cichoz M., 2015, Upbringing Environment As Place Where Human Lifelong Education Is Provided – From Tradition to Modern Transformations, Journal of Modern Science Tom 4/272015, Kazimierz Wielki University in Bydgoszcz, 463 – 478.

Durose M.D., Cooper A.D., Snyder H.N., 2014, Recidivism of Prisoners Released in 30 States in 2005: Patterns from 2005 to 2010, U.S. Department of Justice Office of Justice Programs Bureau of Justice Statistics, 2.

Ferguson K., T., Cassels R., C., MacAllister J., W., Evans G., W., 2013, The Physical Environment and Child Development: An International Review, https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4489931/, 10/05/2017.

Gifford R., 2002, Making a Difference: Some ways Environmental Psychology has Improved The World, Handbook of Environmental Psychology, Chapter III, John Wiley & Sons inc., New York.

Harris J., R., 1995, Where is the Child's Environment? A Group Socialization Theory of Development, American Psychological Association/Journal, Psychological Review July 1995, Vol. 102, No.3, 458.

Singh A.K., 2015, Social Psychology, Rekha Printers Private Limited, New Delhi.

Steden R., Boutellier H., Scholte R.D., Heijnen M., (2012) Beyond Crime Statistics: The Construction and Application of a Criminogenity Monitor in Amsterdam (published with open access at Springerlink.com).

The Urban Child Institute, 2012, Data Book- The State of Children in Memphis and Shelby Country, 2012 ISSUE 7, theurbanchildinstitute.org, 44-48.

Vandewater E. A. and Lansford J. E., 1998 – Influences of family Structure and Parental Conflict on Children's Well-Being, 323-330.

Weijer S.G.A., Thornberry T.P., Bijleveld C.C.J.H., Blokland A.J., 2014, The effects of Parental Divorce on the Intergenerational Transmission of Crime, www.mdpi.com/journal/societies ISSN 2075-4698;

Witbeck B., 2009 – Primary Socialization Theory: It All Begins with the Family, Published online 03/07/2009.

Zelezny L., C., Chua P., Aldrich Ch., 2000, Elaborating n Gender Differences in Environmentalism, Journal of Social Issues, Vol. 56, No 3, 443-457.